

ევროკავშირის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირება: უახლესი განვითარება

აბსტრაქტი

ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროკავშირს მიანიჭა ექსკლუზიური კომპეტენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში ევროკავშირის საერთო კომერციული პოლიტიკის ფარგლებში. ლისაბონის ხელშეკრულების მიღების ადრეულ ეტაპზე ევროკავშირისთვის ამ ახალი ექსკლუზიური კომპეტენციის მინიჭებამ წარმოიშვა გარკვეული კითხვები, მათ შორის, წევრი სახელმწიფოების არსებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებზე მის გავლენასთან დაკავშირებით. კიდევ ერთ გამოწვევას ქმნიდა ახალი თაობის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავების მოგვარება, რაც შეიძლება გადაწყვეტილიყო საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში (ICSID) ევროკავშირისთვის წვდომის უზრუნველყოფით ან დავების მოგვარების ალტერნატიული ფორუმის ჩამოყალიბებით. 2015 წლიდან ევროკავშირის კომისია მუშაობს მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც იქნება გადახვევა არბიტრაჟზე დაფუძნებული ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის არსებული რეჟიმიდან. ასევე, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის სისტემასთან შედარებით, რომლებიც ზოგჯერ აღიქმება არასაკმარისად გამჭვირვალედ და პროგნოზირებადად, მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლო საინვესტიციო დავების გადაწყვეტისას უზრუნველყოფს გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის მაღალ ხარისხს. ამგვარად, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ათწლეულის შემდეგ, შესაბამისი ინდიკატორების გათვალისწინებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში გადასვლა შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგად გააზრებული და ეკონომიკურად გამართლებული გადაწყვეტილება.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლო, საქართველო

1. შესავალი: ევროკავშირში ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების რეგულირება ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ

ლისაბონის ხელშეკრულების² მიღებამდე ევროპის კავშირში (შემდგომში „ევროკავშირი“) არ არსებობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ სპეციფიკური სამართლებრივი ჩარჩო. ლისაბონის ხელშეკრულება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ევროკავშირის ისტორიაში, რომელმაც შეცვლა 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულება (განახლებული სახით ცნობილია როგორც „ევროკავშირის ხელშეკრულება“), ასევე, 1957 წლის რომის ხელშეკრულება (რომელიც ცნობილია განახლებული სახით, როგორც „ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება“), მიზნად ისახავდა

¹ პროფ. ნათია ლაპიაშვილი, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების თანახელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ელექტრონული ფოსტა: natia_lapiashvili@yahoo.com

² ლისაბონის ხელშეკრულება, თავდაპირველად ცნობილი, როგორც რეფორმის ხელშეკრულება, რომელსაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 2007 წლის 13 დეკემბერს მოაწერეს ხელი, ძალაში შევიდა 2009 წლის 1-ელ დეკემბერს, ხელმისაწვდომია <http://eur-lex.europa.eu/JOHtmL.do?uri=OJ :C:2007:306:SOM:en:HTML>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

ევროკავშირში უფრო ძლიერი მმართველობის ფორმირებას, ასევე, გადაწყვეტილებების მიღების გამარტივებული სისტემისა და ეფექტური საგარეო პოლიტიკის დანერგვას. ლისაბონის ხელშეკრულებამ, სხვა ცვლილებებთან ერთად, გააფართოვა ევროკავშირის კომპეტენციები საგარეო კომერციული ურთიერთობების სფეროში, მათ შორის, ევროკავშირის მიანიჭა ექსკლუზიური კომპეტენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში.³

იმის გათვალისწინებით, რომ ლისაბონის ხელშეკრულების მიღებამდე ევროკავშირს უკვე ჰქონდა კომპეტენცია დაფუძნების თავისუფლებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ნაწილში, ევროკავშირისთვის აღნიშნული სრულიად ახალი კომპეტენციის მინიჭებამ გამოიწვია კითხვები ასეთი უფლებამოსილების გადაცემის ზუსტ მასშტაბებსა და შედეგებზე, ასევე, წევრი ქვეყნების ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებსა⁴ (“BIT”) და ევროკავშირის კანონმდებლობას შორის შესაძლო თავსებადობის საკითხებზე. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს გადაეცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების უფლებამოსილება, მას არ გადასცემია ექსკლუზიური კომპეტენცია კაპიტალის გადაადგილების ნაწილში, რადგან ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლი არ ანიჭებს ევროკავშირის კომპეტენციას პორტფელის ინვესტიციებზე. ეს უკანასკნელი ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც აქციების შექმნა „მხოლოდ ფინანსური ინვესტიციების განხილვისთვის, საწახმოს მახთვისა და კონტროლზე გავლენის მოხდენის განხილვის გახეშე“.⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა არ შეხვედრია ამ ცვლილებას ენთუზიაზმით, რადგან ზოგადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე, გაჩნდა შეშფოთება ევროკავშირის ამ ახალი კომპეტენციის შედეგებსა და გავლენაზე წევრი ქვეყნების არსებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებზე. კითხვები წარმოიშვა როგორც ევროკავშირის შიდა, ასევე, გარე ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით,⁶ იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება პატივს სცემს წევრი ქვეყნების არსებულ საერთაშორისო ვალდებულებებს მესამე სახელმწიფოების მიმართ ევროკავშირის კანონმდებლობასთან მათი კონფლიქტის შემთხვევაში.⁷ ასევე, ახალი ექსკლუზიური კომპეტენცია გავლენას ახდენდა წევრი ქვეყნების მიერ საგარეო საინვესტიციო პოლიტიკის თავისუფლად განსაზღვრაზე, ვინაიდან ევროკავშირი გახდა საერთაშორისო აქტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში, მათ შორის, მიენიჭა მესამე ქვეყნებთან საკუთარი საინვესტიციო ხელშეკრულებების მოლაპარაკების უფლებამოსილება (უმთავრესად, ჩინეთთან და ინდოეთთან). გარდა ამისა, ვინაიდან ევროკავშირს არ გადასცემია ექსკლუზიური კომპეტენცია პორტფელის ინვესტიციებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ ევროკავშირის მიერ ასეთი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ შერეული შეთანხმების სახით წევრ სახელმწიფოებთან ერთად.⁸

მიუხედავად ამისა, ამ დროისთვის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს დადებული ჰქონდათ ათასზე მეტი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რაც წარმოშობდა შედეგებს საერთაშორისო საჯარო სამართლის შესაბამისად. ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილულ

³ ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება, მუხლი 207(1).

⁴ ამჟამად მსოფლიოში დადებულია და მოქმედია დაახლოებით 3000 ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელთაგან 1400-ზე მეტი გაფორმებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ. იხილეთ ინფორმაცია ევროკომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე, ხელმისაწვდომია https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/dispute-settlement/investment-disputes_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

⁵ გაერთიანებული საქმეები C-282/04 და C-283/04, ევროპული კომისია ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62004CJ0282&from=NL>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

⁶ Intra-EU BIT/ ევროკავშირის შიდა საინვესტიციო ხელშეკრულებად მოიხსენიებენ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია ევროკავშირის ორ წევრ სახელმწიფოს შორის, ხოლო Extra-EU BIT/ ევროკავშირის გარე საინვესტიციო ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და მესამე სახელმწიფოს შორის.

⁷ ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება, მუხლი 351.

⁸ პროფესორი კრისტოფ ჰერმანი, „ლისაბონის ხელშეკრულება აფართოვებს ევროკავშირის საგარეო ვაჭრობისა და საინვესტიციო უფლებამოსილებებს“, საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოების მიმოხილვა, ტომი 14, 21 სექტემბერი, 2010, ხელმისაწვდომია <https://www.asil.org/insights/volume/14/issue/29/treaty-lisbon-expands-ue2%80%99s-external-trade-and-investment-powers>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

იქნა ასეთ ხელშეკრულებებსა და ევროკავშირის სამართალს შორის შესაძლო შეუსაბამობის რამდენიმე შემთხვევა. 2018 წელს, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ აქმეას ცნობილი გადაწყვეტილებით საბოლოოდ დადასტურდა ევროკავშირის შიდა საინვესტიციო ხელშეკრულებების ბედი, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ 1991 წლის ნიდერლანდ-სლოვაკეთის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების დებულება არბიტრაჟის შესახებ შეუთავსებელი იყო ევროკავშირის სამართალთან, რადგან ეს უკანასკნელი უკვე მოიცავდა სამართლებრივი დაცვის სრული სისტემას.⁹ შედეგად, თუ წევრი ქვეყნების ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები არსებით წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა ევროკავშირის სამართალთან, წევრ სახელმწიფოებს ან ხელახლა უნდა გაემართათ ასეთ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებები, ან შეწყვიტათ ისინი. აქმეას გადაწყვეტილების შემდეგ, 2019 წლის 24 ოქტომბერს, ევროკავშირის კომისიამ (შემდგომში „კომისია“) განაცხადა, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიაღწიეს მრავალმხრივ შეთანხმებას ევროკავშირის ყველა (დაახლოებით 190) შიდა საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. შეთანხმებას საბოლოოდ 2020 წლის 5 მაისს ევროკავშირის ოცდასამმა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, რათა შეწყვიტათ მათი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები (შემდგომში „შეწყვეტის შეთანხმება“).¹⁰ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული ე.წ. „Sunset“ (ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების) პუნქტების მიუხედავად, რომლებიც ზოგადად მიზნად ისახავს, გაახანგრძლივოს შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედება გარკვეული პერიოდით მისი შეწყვეტის შემდეგ, შეწყვეტის შეთანხმებამ პირდაპირ გააუქმა როგორც ძალაში მყოფი, ისე უკვე შეწყვეტილი ევროკავშირის შიდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ყველა ასეთი პუნქტი.¹¹

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში კომპეტენციის ევროკავშირისთვის გადაცემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი გამოწვევა იყო ევროკავშირის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის მექანიზმი. გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო ან ევროკავშირისთვის წვდომის მინიჭება საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში (ICSID), ან ალტერნატიული დავების გადაწყვეტის ფორუმის დაარსება. 2015 წლიდან კომისია მუშაობს მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც, მისი შიდა და საერთაშორისო სასამართლოების ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით, იქნება გადახვევა არბიტრაჟზე დაფუძნებული ინვესტორ-სახელმწიფოთაშორისი დავის გადაწყვეტის პროცედურის სისტემიდან.¹² იგეგმება, რომ მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლოს შემადგენლობაში იქნება პირველი ინსტანციის სასამართლო და სააპელაციო ორგანო. სასამართლო უზრუნველყოფს გამჭვირვალობას დავის განხილვის შედეგებთან დაკავშირებით და დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით, რომლებსაც აირჩევენ და ანაზღაურებას გადაუხდიან წევრი სახელმწიფოები. მათ საქმისწარმოებაში, ასევე, დაეხმარება სამდივნო. მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლოს საბოლოო სტრუქტურა განისაზღვრება მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად.

ყველა ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შედეგად წარმოშვა რთული სამართლებრივი, ეკონომიკური და პრაქტიკული სირთულეები. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის არგუმენტი იყო, რომ ევროკავშირის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მის მთელ ყველა წევრ ქვეყანაში თანმიმდევრულად რეგულირების უპირატესობები, სავარაუდოდ, გადაწონდა

⁹ სლოვაკეთის რესპუბლიკა Achmea B.V.-ს წინააღმდეგ (საქმე C-284/16), ხელმისაწვდომია <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=199968&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=404057>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹⁰ ნიკოს ლაგრანოსი, „ევროკავშირის მრავალმხრივი შეწყვეტის შეთანხმების პროექტი ევროკავშირის ყველა შიდა საინვესტიციო ხელშეკრულებისთვის: პოსტ-აქმეას საგის დასასრული და ახალი საგის დასაწყისი“, კლუვერის არბიტრაჟის ბლოგი, 2019 წლის 1 დეკემბერი, ხელმისაწვდომია <https://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2019/12/01/eu-plurilateral-draft-termination-agreement-for-all-Intra-eu-bits-an-end-of-the-post-achmea-saga-and-the-beginning-of-a-new-one/>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹¹ ვალერიო ლეტიცია, „ევროკავშირის შეწყვეტის შეთანხმება და „მოქმედების გაგრძელების“ პუნქტები: არის ვინმე „გადარჩენილი“ (ევროკავშირის შიგნით) ბრძოლის ველზე?“, კლუვერის საარბიტრაჟო ბლოგი, 2022 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია <https://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2022/06/22/the-eu-termination-agreement-and-sunset-clauses-no-survivors-on-the-Intra-eu-battlefield/>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹² ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი, „საინვესტიციო დავები“, ხელმისაწვდომია https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/dispute-settlement/investment-disputes_en, nb. ასევე „მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლოს პროექტი“, https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/multilateral-investment-court-project_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

პოტენციურ სირთულეებს, ვინაიდან შედეგად მოხდებოდა უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. 2009 წლიდან ევროკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებებს საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკას მისი წევრი ქვეყნების სახელით, ევროკავშირის საერთო კომერციული პოლიტიკის ფარგლებში.¹³ უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულმა ეკონომიკურმა სარგებელმა მართლაც გაამართლა თანმდევი სამართლებრივი პრობლემები, ვინაიდან დღესდღეობით ევროკავშირი წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდ მიმღებს მსოფლიოში, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნები მიიჩნევა ყველაზე ღია იურისდიქციებად ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების მიზნებისთვის.¹⁴

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი ჩარჩოს შემდგომი განვითარება ევროკავშირში

ევროკავშირის შიდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გარდა, ლისაბონის ხელშეკრულებამ, ასევე, შექმნა გაურკვეველობა ევროკავშირის გარე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, ისევე, როგორც წევრი სახელმწიფოების მიერ მომავალში ახალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობებთან მიმართებით. ხსენებული გაურკვეველობის გადაჭრის მიზნით მიღებულ იქნა N1219/2012 რეგულაცია, რომელიც ძალაშია 2013 წლის 9 იანვრიდან.¹⁵ N1219/2012 რეგულაციამ განსაზღვრა შემდეგი სამი რეჟიმი ევროკავშირის გარე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებისათვის: პირველი, 2009 წლის 1 დეკემბრამდე (ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი) ან ხელმოწერილი წევრი სახელმწიფოს ევროკავშირში განწვერიანების თარიღამდე დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები დარჩებოდა ძალაში, კომისიის მიერ მათი ინდივიდუალურად განხილვის პირობით, სანამ ისინი არ შეიცვლებოდა ევროკავშირსა და შესაბამის მესამე ქვეყანას შორის დადებული ახალი ხელშეკრულებით; მეორე, 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის 9 იანვრამდე (N1219/2012 რეგულაციის ძალაში შესვლის თარიღი) დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიძლება შენარჩუნებულიყო კომისიის ნებართვით, და მესამე, მომავალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მოლაპარაკება (N1219/2012 რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ) უნდა მომხდარიყო მხოლოდ კომისიის ზედამხედველობით, რომელთა გაფორმება – ხელმოწერა, ასევე, დაექვემდებარებოდა კომისიის საბოლოო ნებართვას.¹⁶

ლისაბონის ხელშეკრულების შემდგომ ევროკავშირის მიღებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ არის N2019/452 რეგულაცია (შემდგომში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაცია“)¹⁷, რომელიც მიღებულ იქნა 2019 წლის მარტში და ძალაში შევიდა 2020 წლის 11 ოქტომბერს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაცია არეგულირებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგის მექანიზმებს, ითვალისწინებს რა, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვას სტრატეგიულ სანარმოებში ინვესტიციების კო-

¹³ ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი, „ინვესტიციები“, ხელმისაწვდომია https://policy.trade.ec.europa.eu/help-exporters-and-importers/accessing-markets/investment_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹⁴ მაგალითად, იხილეთ OECD-ის ანგარიში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რიცხვებში“, 2020 წლის აპრილი, ხელმისაწვდომია <https://www.oecd.org/investment/FDI-in-Figures-April-2020.pdf>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს. აგრეთვე იხილეთ ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ევროკავშირი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორი და იმპორტიორი“, ხელმისაწვდომია https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/multilateral-investment-court-project_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹⁵ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია N1219/2012 წევრ სახელმწიფოებსა და მესამე ქვეყნებს შორის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გარდამავალი შეთანხმებების დადების შესახებ, ძალაშია 2013 წლის 9 იანვრიდან, ხელმისაწვდომია <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32012R1219>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹⁶ „სამართლებრივი ინსტრუმენტები და საარბიტრაჟო პრაქტიკა ევროკავშირში“, ევროპარლამენტის პუბლიკაცია, მომზადებული სამართლებრივ საკითხთა კომიტეტისთვის, 2015, გვ. 243, ხელმისაწვდომია [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2015/509988/IPOL_STU\(2015\)509988_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2015/509988/IPOL_STU(2015)509988_EN.pdf), ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

¹⁷ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 19 მარტის რეგულაცია N2019/452, რომელიც ადგენს ევროკავშირში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგის სამართლებრივ ჩარჩოს, ხელმისაწვდომია <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2019/452/oj/eng>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

ნტროლის გზით და უზრუნველყოფს თანამშრომლობის მექანიზმს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საინვესტიციო პროექტების განხილვის პროცესში. ამდენად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აშკარა სარგებელის გარდა, ასევე, ქმნის მნიშვნელოვან საფრთხეებს ქვეყნებისთვის, როგორცაა სამრეწველო ჯაშუშობა, ტექნოლოგიების გადაცემა და უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოების (განსაკუთრებით, ჩინური საწარმოების) მიერ ეროვნულ კომპანიების შთანთქმა. შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაცია ეხება მოცემულ ტექნოლოგიურ და გეოპოლიტიკურ გამოწვევებს და მათთან დაკავშირებულ თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის სამართლებრივ და პრაქტიკულ შედეგებს.¹⁸ შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ და გაუზიარონ ერთმანეთს და კომისიას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაციით „სკრინინგი“ და „სკრინინგის მექანიზმები“ განიმარტება, როგორც პროცედურები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს, გამოძიებულ იქნას, დაშვებულ იქნას, პირობადადებულ იქნას, აიკრძალოს ან შეწყდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის საფუძველზე.¹⁹ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაცია აკისრებს რიგ მოთხოვნებს წევრ სახელმწიფოებს სკრინინგის აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით, როგორცაა ვადებთან მიმართებით გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კონფიდენციალურობისა და მესამე ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაცვა. რეგულაციის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შეუძლიათ, გამოაქვეყნონ კომენტარები და მოსაზრებები სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული გარიგებების შესახებ და შესაბამისი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, განიხილოს ასეთი შენიშვნები და მოსაზრებები. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას სკრინინგის შედეგებთან დაკავშირებით იღებს მოცემული წევრი სახელმწიფო, რადგან ეროვნული უსაფრთხოების საკითხები წარმოადგენს ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

3. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი შიდა და გარე საინვესტიციო პროგრამები და ინიციატივები

შესაბამისი მარეგულირებელი აქტების შემუშავების გარდა, ევროკავშირმა დანერგა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა შიდა და გარე ინვესტიციების მხარდასაჭერად. ერთ-ერთი მათგანია „InvestEU“ პროგრამა, ასევე, ცნობილი, როგორც „სტრატეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდი“²⁰ რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფისა და კომისიის ინიციატივით და მიზნად ისახავს კერძო ინვესტიციების მობილიზებას ევროკავშირის პრიორიტეტულ სფეროებში, როგორცაა მწვანე და ციფრული ტრანზიციის პროცესი, ინოვაციები, სოციალური ინვესტიციები და უნარები.²¹ „InvestEU“ პროგრამა, ასევე, მხარს უჭერს „REPowerEU“ გეგმას, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის პასუხს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომით გამოწვეულ გლობალურ ენერგეტიკულ კრიზისზე.

მას შემდეგ, რაც „InvestEU“ პროგრამამ 294 მილიარდ ევროზე მეტი ინვესტიციის მობილიზაცია განაპირობა, 2017 წელს ევროკავშირმა წამოიწყო საგარეო ინვესტიციების მობილიზაციის კიდევ ერთი ამბიციური პროგრამა, სახელწოდებით „საგარეო საინვესტიციო გეგმა“, რომელიც ფოკუსირებულია რიგ პრიორიტეტულ საინვესტიციო სფეროებზე, მათ შორის, მდგრადი ენერგეტიკა, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება, მდგრადი სოფლის მეურნეობა, მენარმეობა და აგრომრეწველობა, მდგრადი ქალაქები და დიჯიტალიზაცია მდგრადი განვითარებისათვის.²² 2018 წლის 21 მარტს,

¹⁸ ბას დე იონგი, ვოლფ ზვარტკრუსი, „ევროკავშირის რეგულაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგის შესახებ: თამაშის წესების შეცვლა?“, ევროპული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, ტომი 31, გამოცემა 3 (2020) გვ. 447 – 474.

¹⁹ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაცია, მუხლი 2, დეფინიციები.

²⁰ ევროპის სტრატეგიული ინვესტიციების ფონდი (EFSI) შეიქმნა 2015 წელს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N2015/1017 რეგულაციით სტრატეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდის, ევროპული საინვესტიციო საკონსულტაციო ცენტრისა და ევროპული საინვესტიციო პროექტის პორტალის შესახებ, და რეგულაციების შესწორებები N1291/2013 და N1316/2013 — ევროპის სტრატეგიული ინვესტიციების ფონდი, ხელმისაწვდომია <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32015R1017>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²¹ InvestEU-ს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია https://investeu.europa.eu/investeu-programme_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²² ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი, „ევროკავშირის საგარეო საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი ცხრილი“

ევროკავშირმა საქართველოს დედაქალაქში გამართულ რეგიონალურ ღონისძიებაზე წარადგინა „საგარეო საინვესტიციო გეგმა“, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდავას საჯარო და კერძო სექტორიდან მსოფლიოს 70-ზე მეტი ეკონომიკისთვის, მათ შორის, საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორის სხვა ქვეყნებში.²³ ინვესტიციების გაზრდისა და ამ ქვეყნებში უფრო ინკლუზიური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. „საგარეო საინვესტიციო გეგმა“, „InvestEU“ პროგრამა და „REPowerEU“ გეგმა ასახავს ევროკავშირის კომპლექსურ საინვესტიციო არქიტექტურას, რომელიც ორიენტირებულია დამატებითი რესურსების მოზიდვისაკენ ინვესტიციებისთვის არა მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, არამედ პარტნიორ ქვეყნებშიც.²⁴

4. ევროკავშირის მხარდაჭერილი ინვესტიციები მესამე ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი

ევროკავშირსა და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ. საქართველომ, ევროკავშირმა, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებამ და წევრმა ქვეყნებმა 2014 წლის ივნისში ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას²⁵ (სრულად ამოქმედდა 2016 წლის ივლისში), რომელიც, ასევე, არეგულირებს ინვესტიციების სფეროს. საქართველოს, ასევე, გაფორმებული აქვს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება („DCFTA“). მანამდე, 2009 წელს, დაინერგა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, როგორც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის²⁶ სპეციფიკური აღმოსავლური განზომილება, რათა სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შეძლებოდათ ევროკავშირთან ინტენსიური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების დამყარება. 2022 წლის 3 მარტს საქართველომ წარადგინა განაცხადი ევროკავშირში განწევრიანებაზე და 2023 წელი დასრულდა საქართველოსთვის დიდი ხნის ნანატრი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით. ამრიგად, საქართველომ მიიღო ისტორიული შანსი, გახდეს ევროპული ოჯახის ნამდვილი წევრი და მომავალი წლები საქართველოსთვის გადამწყვეტი იქნება აუცილებელი რეფორმების გასატარებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და ქვეყანას ყოველწლიურად 100 მილიონ ევროზე მეტ დახმარებას უწევს.²⁷ „სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი – გლობალური ევროპა“ („NDICI“) არის მთავარი ფინანსური ინსტრუმენტი ევროკავშირის გარე პარტნიორობთან, მათ შორის, საქართველოსთან თანამშრომლობისათვის.²⁸ გარდა გრანტებისა, ევროკავშირი საქართველოს აფინანსებს სესხებისა და გარანტიების სახითაც. უკანასკნელ წლებში, ევროკავშირი საქართველოს მხარს უჭერს სხვა-

ლი“, ხელმისაწვდომია https://commission.europa.eu/system/files/2019-11/factsheet_eip_en.pdf, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²³ EU4Busines ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია <https://eu4business.ge/en/news/eu-launches-new-external-investment-plan-in-tbilisi/>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²⁴ მიქაელა გავასი, ჰანა ტიმისი, „ევროკავშირის ფინანსური არქიტექტურა გარე ინვესტიციებისთვის: პროგრესი, გამოწვევები და ვერსიები“, გლობალური განვითარების ცენტრი, CGD პოლიტიკის დოკუმენტი, 13 იანვარი 2019, ხელმისაწვდომია <https://www.cgdev.org/sites/default/files/eus-financial-architecture-external-investment-progress-challenges-and-options.pdf>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²⁵ 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ხელმისაწვდომია [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)), ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²⁶ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) არეგულირებს ევროკავშირის ურთიერთობებს მის 16 უახლოეს აღმოსავლელ და სამხრეთ პარტნიორთან. როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი ელემენტი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ფოკუსირებულია რეგიონის სტაბილიზაციაზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროში. იხ. ინფორმაცია კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე, ხელმისაწვდომია https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/european-neighbourhood-policy_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²⁷ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები, ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

²⁸ ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი, „სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი – გლობალური ევროპა (NDICI – გლობალური ევროპა)“, ხელმისაწვდომია https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/funding-and-technical-assistance/neighbourhood-development-and-international-cooperation-instrument-global-europe-ndici-global-europe_en, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

დასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში.²⁹ ამ სტატიის თარიღისათვის, ევროკავშირის საინვესტიციო ბანკმა საქართველოში ოცდასამ ინფრასტრუქტურულ პროექტში განახორციელა ინვესტიცია, მათ შორის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სტრატეგიული გზის, საქართველოს უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურისა და სხვა პროექტების განვითარებაში.³⁰ ევროკავშირის საინვესტიციო ბანკმა საქართველოსთვის გამოყო 1,83 მილიარდი ევროს ოდენობის საკრედიტო პორტფელი, რამაც ქვეყანა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსების უპირველეს ბენეფიციარად აქცია.³¹

რუსეთ-უკრაინის ომმა მთლიანად შეცვალა ევროპის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა, მათ შორის, ევროპული ქვეყნების რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების კუთხით. გლობალური ენერგეტიკული კრიზისის ფონზე, ევროკავშირმა გამოავლინა მზადყოფნა ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწიოს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის განვითარებას, რომელიც გავა დაახლოებით 1200 კმ-ზე საქართველოსა და რუმინეთს შორის, ძირითადად წყალქვეშა, და გამიზნულია განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის კავკასიიდან ევროპაში ექსპორტისათვის. ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა 2022 წლის 17 დეკემბერს, აზერბაიჯანს, საქართველოს, უნგრეთსა და რუმინეთს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე, აღნიშნა, რომ პროექტი დაახლოებს ევროკავშირს თავის პარტნიორობთან სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რაც სარგებელს მოუტანს ყველა მხარეს.³² შესაბამისად, საქართველოს ენერგოსისტემა პირდაპირ დაუკავშირდება რუმინეთის ელექტროსისტემას, საიდანაც ელექტროენერჯია მიეწოდება დანარჩენ ევროპას უნგრეთის გავლით. საქართველოსა და რუმინეთის დამაკავშირებელი წყალქვეშა ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების შემთხვევაში ევროპა მიიღებს როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში წარმოებულ განახლებად ენერჯიას. პროექტის მიმართ ინტერესი გამოთქვა საუდის არაბეთმაც, რომელიც აზერბაიჯანში განახლებადი ენერჯიის პროექტებს ახორციელებს. პროექტი, ასევე, მნიშვნელოვანია დეკარბონიზაციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნებისთვის.

როგორც ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა 2022 წლის 17 დეკემბერს, „[შავი ზღვის ენერგეტიკული წყალქვეშა კაბელის პროექტი] უდიდეს საჩვენებელს მოუტანს საქართველოს, ევროპული მისწრაფების მქონე ქვეყანას. მას შეუძლია, საქართველო ედექტოენეჯიის ჰაბად აქციოს და ევროკავშირის შიდა ენერგობაზარს შეუერთდეს. ამასთან, შავი ზღვის წყალქვეშა ედექტოენეჯიის კაბელს შეუძლია, ედექტოენეჯიის მიღებაში დაეხმას ჩვენს მეზობლებს მოდეროვასა და დასავლეთ ბალკანეთში, ხოლო უკრაინას ენერგოსისტემის აღდგენის დაწყება გაუადვილოს“.³³ საქართველოს ენერგეტიკულ ჰაბად გადაქცევის იდეა მრავალი წელია არსებობს, თუმცა, ამ პროექტმა მას სრულიად ახალი პერსპექტივა შესძინა. მიუხედავად საქართველოს მისწრაფებისა, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი ქვეყნებისგან მისი გეოგრაფიული იზოლაციის გათვალისწინებით, ენერგეტიკულ სექტორში საქართველო მაინც ვერ ახერხებდა ევროპული რეფორმების მთავარი უპირატესობით – ერთიანი ბაზრით სარგებლობას. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის განვითარების შემთხვევაში, რეალობა იცვლება საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, რომელიც სტრატეგიულად აკავშირებს ევროპის კონტინენტის სხვადასხვა ნაწილებს. ამ პროექტს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ვიდრე უბრალო ინვესტიციას, ვინაიდან მისი განხორციელება, სავარაუდოდ, დააჩქარებს საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას. ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ეს და სხვა მაგალითები

²⁹ ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და გაფართოების მოლაპარაკებები (DG NEAR)“, „საქართველოს ფაქტობრივი ცხრილი“, ხელმისაწვდომია https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia_factograph.pdf, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

³⁰ ევროპის საინვესტიციო ბანკის ანგარიში საქართველოზე, გვ.4, ევროპის საინვესტიციო ბანკის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია https://www.eib.org/attachments/country/the_eib_in_georgia_en.pdf, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

³¹ იქვე, გვ. 4.

³² აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონული საკომუნიკაციო პროგრამის (EU Neighbors East) ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია, <https://euneighbourseast.eu/news/latest-news/eu-welcomes-initiative-to-lay-submarine-cable-under-black-sea/>, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

³³ ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი, რეზიდენტი ფონ დერ ლეიენი: „შავი ზღვის ელექტრო კაბელი არის ახალი გადამცემი მარშრუტი, სავსე შესაძლებლობებით“, ხელმისაწვდომია https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/AC_22_7888, ბოლოს ნანახია 2024 წლის 20 იანვარს.

ცხადყოფს ევროკავშირის ინვესტიციების მნიშვნელობას საქართველოში სტრატეგიული პროექტების განვითარებისა და საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. ეს პროექტები, ასევე, ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში პოლიტიკური გავლენის ცვლილების შედეგად და სათანადო სამართლებრივი და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების დახმარებით, საქართველო ნამდვილად შეიძლება გახდეს ევროკავშირის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სავაჭრო პარტნიორი.

5. დასკვნა

შეჯამების სახით, ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროკავშირს გადასცა მესამე ქვეყნებთან საინვესტიციო ხელშეკრულებების დადებისა და ინვესტიციების დაცვის უფრო მოდერნიზებული სისტემის ამოქმედების უფლებამოსილება. შესაბამისად, მომავალში ახალი თაობის საინვესტიციო ხელშეკრულებების მოლაპარაკება და გაფორმება მოხდება არა წევრი სახელმწიფოების, არამედ ევროკავშირის მიერ, რაც გამოიწვევს მთელი საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის არქიტექტურის შეცვლას. გარდა ამისა, დავების გადანაცვების ინოვაციური სისტემის პირობებში, ინვესტორებს შეეძლებათ მიმართონ ახალი ტიპის საინვესტიციო სასამართლოს, რომელიც წარმოადგენს გადახრას ტრადიციული საინვესტიციო საარბიტრაჟო სისტემისგან მისთვის დამახასიათებელი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების ნიშნების გათვალისწინებით. ასევე, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის სისტემასთან შედარებით, რომლებიც ზოგჯერ აღიქმება არასაკმარისად გამჭვირვალედ და პროგნოზირებადად, მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლო უზრუნველყოფს გამჭვირვალეობისა და თანმიმდევრულობის მაღალ ხარისხს საინვესტიციო დავების გადანაცვებისას.

ამგვარად, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ათწლეულის შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში გადატანა შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგად გააზრებული და ეკონომიკურად გამართლებული გადანაცვებით ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. მათ შორისაა შემდგომ პერიოდში ევროკავშირში უცხოური ინვესტიციების ზრდა, ასევე, არსებული კონკურენცია ისეთ ეკონომიკურ გიგანტებთან, როგორებიცაა ჩინეთი და ინდოეთი, რის გამოც საჭირო იყო ევროკავშირი ამ სფეროში გლობალური მოთამაშე გამხდარიყო. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ზოგიერთი განვითარებადი წევრი ქვეყანის მიერ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ინვესტიციების მოსაზიდ ინსტრუმენტად გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვისა, ევროკავშირი უკეთეს პოზიციაში იმყოფება მნიშვნელოვან მესამე მხარეებთან უკეთესი სახელშეკრულებო პირობების მისაღწევად, ვიდრე ასეთი განვითარებადი სახელმწიფოები იქნებოდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან. გარდა ამისა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით ევროკავშირის ექსკლუზიური კომპეტენცია აშკარად აუმჯობესებს უცხოელი ინვესტორების დაცვას ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სტანდარტების დანერგვის გზით. ამრიგად, ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ თავდაპირველად გამოთქმული შეშფოთების მიუხედავად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში გადასვლა დღევანდელი პერსპექტივიდან მომგებიანი აღმოჩნდა ამ სფეროს ყველა შესაბამისი მონაწილისთვის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, dated 27 June 2014, available at [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)).
2. De Jong B., & Zwartkruis W., "The EU Regulation on Screening of Foreign Direct Investment: A Game Changer?", *European Business Law Review*, Volume 31, Issue 3 (2020) pp. 447 – 474.
3. EU4Busines Official Website, available at <https://eu4business.ge/en/news/eu-launches-new-external-investment-plan-in-tbilisi/>.
4. European Commission Official Website, EU External Investment Plan Factsheet, available at https://commission.europa.eu/system/files/2019-11/factsheet_eip_en.pdf.
5. European Commission Official Website, European Neighbourhood policy (ENP) governs the EU's relations with 16 of its closest eastern and southern partners. As a key element of the EU foreign policy, the ENP focuses on stabilising the

- region in political, economic and security terms., available at https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/european-neighbourhood-policy_en.
6. European Commission Official Website, section “European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations (DG NEAR)”, “Georgia Factograph”, available at https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia_factograph.pdf.
 7. European Commission Official Website, section “Investments”, available at https://policy.trade.ec.europa.eu/help-exporters-and-importers/accessing-markets/investment_en.
 8. European Commission Official Website, section “Investment Disputes”, available at https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/dispute-settlement/investment-disputes_en, see also section “Multilateral Investment Court project”, https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/multilateral-investment-court-project_en.
 9. European Commission Official Website, section “Neighbourhood, Development and International Cooperation Instrument – Global Europe (NDICI – Global Europe)”, available at https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/funding-and-technical-assistance/neighbourhood-development-and-international-cooperation-instrument-global-europe-ndici-global-europe_en.
 10. European Commission Official Website noting that “The EU is the world’s largest exporter and importer of foreign direct investment”, available at https://policy.trade.ec.europa.eu/enforcement-and-protection/multilateral-investment-court-project_en.
 11. European Commission Official Website, von der Leyen U., “Black Sea electric cable is a new transmission route full of opportunities”, available at https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/AC_22_7888.
 12. EU External Action Official Website, Relations with the EU, available at https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221.
 13. EU Neighbours East Website, available at <https://euneighbourseast.eu/news/latest-news/eu-welcomes-initiative-to-lay-submarine-cable-under-black-sea/>.
 14. European Investment Bank, report “Georgia”, see the European Investment Bank website, available at https://www.eib.org/attachments/country/the_eib_in_georgia_en.pdf
 15. European Parliament publication “Legal Instruments and practice of arbitration in the European Union “, Study for JURI Committee 2015, p.243, available at [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2015/509988/IPOL_STU\(2015\)509988_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2015/509988/IPOL_STU(2015)509988_EN.pdf).
 16. FDI Regulation, article 2, definitions, available at <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2019/452/oj/eng>
 17. Gavvas M., & Hannah Timmis, “The EU’s Financial Architecture for External Investment: Progress, Challenges, and Options”, Center for Global Development, CGD Policy Paper, 13 January 2019, available at <https://www.cgdev.org/sites/default/files/eus-financial-architecture-external-investment-progress-challenges-and-options.pdf>.
 18. Herrmann C., “The Treaty of Lisbon Expands the EU’s External Trade and Investment Powers, ASIL Insights”, Volume 14, September 21, 2010, available at <https://www.asil.org/insights/volume/14/issue/29/treaty-lisbon-expands-eu%E2%80%99s-external-trade-and-investment-powers>.
 19. InvestEU official webpage, available at https://investeu.europa.eu/investeu-programme_en.
 20. *Joined Cases C-282/04 and C-283/04, Commission of the European Communities v Kingdom of the Netherlands*, available at <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62004CJ0282&from=NL>.
 21. OECD report, “FDI in Figures”, April 2020, available at <https://www.oecd.org/investment/FDI-in-Figures-April-2020.pdf>.
 22. Regulation (EU) No 1219/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 establishing transitional arrangements for bilateral investment agreements between Member States and third countries, into force since January 9, 2013, available at <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32012R1219>.
 23. Regulation (EU) 2015/1017 of the European Parliament and of the Council of 25 June 2015 on the European Fund for Strategic Investments, the European Investment Advisory Hub and the European Investment Project Portal and amending Regulations (EU) No 1291/2013 and (EU) No 1316/2013 – the European Fund for Strategic Investments, available at <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32015R1017>.
 24. Regulation (EU) 2019/452 of the European Parliament and of the Council of 19 March 2019 establishing a framework for the screening of foreign direct investments into the Union, available at <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2019/452/oj/eng>.
 25. *Slovak Republic v. Achmea B.V. (Case C-284/16)*, available at <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=199968&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=404057>.
 26. Treaty of Lisbon, initially known as the Reform Treaty, signed by EU member states on 13 December 2007, entered into force on 1 December 2009, available at <http://eur-lex.europa.eu/JOHtml.do?uri=OJ:C:2007:306:SOM:en:HTML>.

27. Treaty on the Functioning of the European Union, available at <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=legisum:4301854>
28. Lavranos N., "The EU Plurilateral Draft Termination Agreement for All Intra-EU BITs: An End of the Post-Achmea Saga and the Beginning of a New One", Kluwer Arbitration Blog, 1 December 2019, available at <https://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2019/12/01/the-eu-plurilateral-draft-termination-agreement-for-all-Intra-eu-bits-an-end-of-the-post-achmea-saga-and-the-beginning-of-a-new-one/>.
29. Letizia V., "The EU Termination Agreement and Sunset Clauses: No 'Survivors' on the (Intra-EU) Battlefield?", Kluwer Arbitration Blog, 22 June 2022, available at <https://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2022/06/22/the-eu-termination-agreement-and-sunset-clauses-no-survivors-on-the-Intra-eu-battlefield/>.